ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
ხუთშაბათი
16
აგვისტო
№98 (10325)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

საბაზრო ეკონომიკა: ვისწავლოთ, ავითვისოთ იგი!

## დაენდე პირად ინიციატივას, ალღოს

ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ უმძიმეს კრიზისში შეიყვანა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა. ახლა მთავრობა ყველა ზომებს მიმართავს იმისათვის, რომ მართვის ავტორიტარული სისტემის ხუნდებისაგან გამოიხსნას იგი და შეიმუშაოს სამეურნეო მართვის ის მექანიზმი, რომელიც ეკონომიკას ახალ ენერგიას შთაბერავს.

რას ნიშნავს ეს? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ სახალხო მეურნეობის მთელი კომპლექსის შემდგომი განვითარება არ დარჩეს ზემოდან დიქტატის, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური დირექტივებისა და განკარგულებების ტყვეობაში, არამედ დაექვემდებაროს თავისუფალი მეწარმეობის, ჯანსაღი კონკურენციის, ღია საბაზრო ეკონომიკის, მეურნეობის მრავალვარიანტული ფორმების ნებას. ეს ის კანონზომიერი პროცესია, რომლის არსი და ფუნქციები ათეულ წლობით იგნორირებული იყო ჩვენს სინამდვილეში. სწორედ ასეთმა მიდგომებმა გააფეტიშა გეგმიური ეკონომიკა, ჩაჭედა იგი ადმინისტრაციული მეთოდების ჩარჩოებში, ფუნქცია გააცალა სამეურნეო ბერკეტებს. ერთი სიტყვით, უგულვებელყოფილ იქნა ის ცხოვრებისეული ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერ ეკონომიკას აქვს განვითარების თავისი, შინაგანი კანონები, რომლებიც მის ბუნებრივ დინამიკას განსაზღვრავს, სასაქონლო ურთიერთობების სისტემას არეგულირებს.

ახლა ჩვენ გავდივართ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ და მტკივნეულ ეტაპს. ამოცანის სირთულე იმაშია, რომ თავიდან, თითქმის არსებული ტრადიციების პირობებში გამოვნახოთ და დავამკვიდროთ ისეთი ახალი სტრუქტურები, რომლებშიაც რეალურად შეესხმება ხორცი თვითმმართველობის, თითქმის მივიწყებულ ეკონომიკური დაინტერესების პრინციპს. სწორედ ამ მიმართულებით მყარი საბაზისო ვითარების შექმნის ინტერესებით არის ნაკარნახევი ფართოდ გაშლილი სამეურნეო ანგარიშიანი, საიჯარო ურთიერთობის პრაქტიკა ყველა დონეზე. მართალია, იგი მთლიანად არ წარმოადგენს საბაზრო მეურნეობის რეალურ მოდელს, მაგრამ თავის თავში შეიცავს იმ რაციონალურ ჩანასახს, საიდანაც ხვალ და ზეგ ნამდვილ, კონკურენტუნარიან, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე შეიძლება გადართვა. თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების მეთოდების რეალურ შედეგებს უკვე პრაქტიკულად გრძნობენ ჩვენი წამყვანი საწარმოები და ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა: კახათის, ახალსოფლის, ნარაზენის კოლმეურნეობები, დარჩელის, ზედაეწერის მეურნეობები, საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვი", ფაიფურის ქარხანა, სარემონტო-მექანიკური კომბინატი, ჩაის კომბინატი „ოდიში" და სხვები. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ წინ გვიდევს გაუვალი ყამირი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მეურნეობის ახლებურად მართვა, წარმოების ორგანიზაციის კოლექტიური, ჯგუფური, კორპორაციული ფორმების დანერგვა, რომლითაც წარმოებას ფაქტიურად თანდათან გამოვანთავისუფლებთ სახელმწიფოებრივი დიქტატის არტახებისაგან. მაგრამ მოვლენათა ამ ჭრილში თავს იჩენს წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორიც: რამდენად არიან მზად მუშები და გლეხები საიმისოდ, რომ საბაზრო მეურნეობრიობის პრინციპებით მუშაობას მიეჩვიონ. აქ მარტო სურვილებისა და ცნობისმოყვარეობის დონეზე ვერ დავრჩებით. იცვლება მთლიანად ეკონომიკის გაძღოლის დღემდე მოქმედი ბიუროკრატიული სისტემა, ასპარეზზე გამოდის ახალი ეკონომიკური ურთიერთობები, ინტერესები, კრიტერიუმები. ერთი რამ დღესავით ნათელია: მშრომელ ხალხს წყურია დამოუკიდებლობა, თვითმმართველობა. მაგრამ ახლა მთავარია დავეხმაროთ მათ ღრმად ჩაწვდნენ საბაზრო ეკონომიკის ნიუანსებში, სპეციფიკაში, გავუღვიძოთ ინტერესი ახალი სტრუქტურებისადმი. დროა, ამ მხრივ მშრომელების სწავლების საქმეს მოვეკიდოთ სრული პასუხისმგებლობით, მივანიჭოთ მას საგნობრივი, რეალური სახე. ყველამ უნდა ღრმად შევიმეცნოთ ის რეალობა, რომ საბაზრო ეკონომიკა ნაწილობრივ რჩება რეგულირებადი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ძველებურად შემაფერხებელი ზღუდარები აღიმართება გაბედულად მოაზროვნე, ინიციატივიანი, არაორდინალურად მოქმედი მოქალაქეების წინაშე, რომლებიც ანთებული არიან ჟინით: მოიპოვონ დამოუკიდებლობა, ეფექტურად მართონ წარმოება, წინ წასწიონ ეკონომიკა.

### ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა რაიონში 14 აგვისტოსათვის

| კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების დასახელება | წლიური გეგმა | შესრ. პროც. |
|---|---|---|
| ახალაბასთუმანი | 1320 | 88,5 |
| ახალსოფელი | 1630 | 93,9 |
| „კოლხიდა" | 1060 | 83,1 |
| ახალკახათი | 855 | 88,8 |
| გრიგოლიში | 840 | 74,0 |
| ინგირი | 3130 | 73,8 |
| ჯახათი | 2930 | 75,8 |
| კოკი | 635 | 76,7 |
| კორცხელი | 1470 | 70,5 |
| ნაცატუ | 970 | 70,1 |
| ნარაზენი | 2690 | 80,1 |
| ოდიში | 1480 | 74,2 |
| ყულიშკარი | 1480 | 79,0 |
| ოქტომბერი | 1460 | 66,0 |
| რიყე | 1650 | 81,3 |
| რუხი | 3960 | 68,1 |
| შამგონა | 945 | 61,3 |
| ჩხორია | 1420 | 74,8 |
| ტყაია | 1040 | 74,1 |
| ცაიში | 1135 | 74,3 |
| ურთა | 650 | 65,2 |
| ჭაქვინჯი | 1805 | 64,0 |
| ჭითაწყარო | 1440 | 83,7 |
| ჭკადუაში | 2000 | 61,2 |
| ჯიხაშკარი | 1050 | 79,8 |
| ორულუს რძის | 350 | 93,4 |
| საბჭოთა მეურნეობები: | | |
| აბასთუმანი | 800 | 76,2 |
| ანაკლია | 200 | 73,0 |
| განარჯიის მუხური | 150 | 85,3 |
| დიდინეძი | 310 | 81,9 |
| დარჩელი | 1500 | 70,9 |
| ზედაეწერი | 4830 | 72,1 |
| ნარაზენი | 2730 | 79,6 |
| ონარია | 2100 | 76,4 |
| ხეცერა | 2675 | 77,0 |
| ინგირის ჩაის აგრ. კომ. | 3730 | 71,8 |
| ჩაის ფილიალი | 255 | 74,5 |
| ორსანტია | 580 | 79,6 |
| სულ რაიონში | 62460 | 75,6 |

ორულუდან გვწერენ

## სადაგი დღეები სოფლად

ორულუს რძის საწარმოს (დირექტორი მ. ზოკუჩავა) მეჩაიე მშრომლები იღებენ ჩაის მწვანე ფოთოლს. გეგმიური 350 ტონიდან მოკრეფილია და მრეწველობას ჩაბარდა 311 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. წინ არიან ბრიგადები, რომელთაც გ. პერტია, მ. ოთხოზორია, იურა და სერგო მამფორიები უძღვებიან.

* * *

ხამარცვლედ ნათეს 150 ჰექტარზე საუკეთესოდ ხარობს სიმინდი. გახარებულია 70 ჰექტარზე ნათესი სოიოც. არის ამაში მექანიზატორების: ბ. ბერაიას, ი. ლემონჯავას, ხ. კვარაცხელიას წვლილი.

* * *

მეცხოველეობის კომპლექსში (გამგე თ. პერტია), უკეთესი მდგომარეობაა შარშანდელ დონესთან შედარებით. ამავე პერიოდისათვის მიღებულია 55 ტონით მეტი რძე, 52 სული ხბო.

ხ. მესხია.

მართვის ახალი მექანიზმი: პირველი შედეგები

## უკეთესი მაჩვენებლებისათვის ვიბრძვით

ახალაბასთუმნის გრ. სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობა 1989 წლის პირველი იანვრიდან მთლიანად გადასულია იჯარული მეთოდით მუშაობაზე. ამ პრინციპებით საქმიანობს ხუთი მეჩაიეობის ბრიგადა, 266 მეჩაიე და 128 მესიმინდე, რომლებზეც გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები. ამავე მეთოდით შრომობს კომპლექსური მექანიზაციის პირველი ბრიგადა. შვიდი მექანი[illegible]ული რგოლით, რომლებზეც გ[illegible]ვნებულია მოსავლელად 62 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მათზევე დაყვანილი 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება.

იჯარამ ფეხი მოიკიდა აგრეთვე მეცხოველეობის ორივე ფერმაში, ამ მეთოდით ფუნქციონირებს ავტოსატრაქტორო პარკი. შედეგებიც სახეზეა 1989 წელს, წინა პერიოდთან შედარებით წარმოებულია — 213 ტონით მეტი ჩაი, 20 ტონით მეტი რძე, 5 ტონით მეტი ხორცი, 3 ტონით მეტი ბოსტნეული, წელს ყველა პირობაა შექმნილი სიმინდის მარცვლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის გასადიდებლად.

უმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებლები. საგრძნობლად შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება დაგეგმილთან და წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით. ზოგიერთ ციფრს მოვიყვანთ: ხარისხოვანი ჩაის ფოთლის თვითღირებულება გეგმიურთან შედარებით 1989 წლისათვის შემცირდა 31,01 მანეთით, სიმინდისა —15 მანეთით, სოიოსი —50 მანეთით, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორცისა — 92,3 მანეთით, რძისა — 44 მანეთით და ა. შ. აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკური ეფექტიც სახეზეა. მთლიანმა პროდუქციამ შეადგინა 1819 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 130 პროცენტი. რეალიზაციიდან ამონაგებმა თანხამ შეადგინა 2405 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 123 პროცენტი. რენტაბელობის დონე განისაზღვრა 42 პროცენტით. სტაბილურია აგრეთვე სხვა მონაცემებიც.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საბოლოო მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი გვექნება.

ბ. ჟარაია,
კოლმეურნეობის ეკონომისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში

# საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება საზიანოა

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა განიხილა საკითხი ქალაქ ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშში“ და პურპროდუქტების კომბინატში თვალის ახვევის, მიწერებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხიანობის შემოწმების შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, მიწერების, თვალის ახვევის ფაქტების აღმოფხვრისა და სამეურნეო საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა ზოგიერთ საწარმოებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები და დარღვევები, საქმისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება, რის შედეგადაც ადგილი აქვს არასწორი აღრიცხვის, საწარმოზე ზარალის მიყენებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტებს.

ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშის“ ხელმძღვანელების (დირექტორი მ. დარასელია, მთ. ტექნოლოგი ნ. მელია, წარმოების უფროსი რ. ნიქაბაძე) მხრიდან დაქვემდებარებული სამსახურებისადმი მომთხოვნელობის შესუსტების შედეგად ადგილი ჰქონდა კომბინატის ცენტრალური ლაბორატორიის (გამგე ნ. სიჯინავა) და სხვა სპეციალისტების მიერ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას. აქ სათანადო ყურადღება არ ექცევა პირველადი ჩაის ფაბრიკებიდან გამოგზავნილი ფუხეში ჩაის ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის სწორად განსაზღვრის საქმეს. ამიტომაც არის სხვაობები პირველადი ჩაის ფაბრიკებიდან გამოგზავნილ და კომბინატში მიღებული პროდუქციის წონას შორის. ამასთან ლაბორატორიის მუშაკები და სხვა სპეციალისტები მიღებული ნედლეულის დანაკლისის დროს არ ადგენენ სათანადო აქტებს და პრაქტიკაში არა აქვთ მიღებული ნედლეულის ხარისხის განსაზღვრაზე სათანადო პირველადი საბუთების შედგენა.

ამავე დროს კომბინატის მთავარი ბუღალტერისა (ქ. ჩილაჩავა) და აღრიცხვის დარგის სხვა მუშაკების მხრიდან საქმისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად გარკვეულ წილად ირღვევა სააღრიცხვო საქმიანობა.

ჩაის კომბინატში სათანადო ყურადღება არ ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. 1989 წელს ჯარიმის სახით ჩაის კომბინატს გადახდილი აქვს 8 ათასი მანეთი, აქედან პროდუქციის უხარისხობაზე 3 ათასი მანეთი, ხოლო ტარის უხარისხობაზე 5 ათასი მანეთი. ანალოგიურ ფაქტებს აქვს ადგილი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. ჯარიმის თანხა შეადგენს 7 ათას 156 მანეთს.

შესაბამისი სამსახურების გაუმართავი მუშაობის გამო ჩაის კომბინატში 1989 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო მიმღები ორგანოს მიერ პროდუქციის მიღება შეჩერებული იყო 34-ჯერ. შეჩერების მიზეზთა შორის ძირითადი იყო დაფასოებული პროდუქციის წონა-ნაკლებობა, მუყაოს კოლოფების შეწებვის უხარისხობა, პოლიეთილენის პაკეტების უხარისხობა, გოფრირებული ყუთების არასწორი მარკირება. აღნიშნულ დარღვევებზე სათანადო ზედამხედველობა არა აქვს დაწესებული ტექნიკური კონტროლის განყოფილებას (უფროსი ე. ქირია).

სახელმწიფო დოვლათის დაცვისადმი ყურადღების შესუსტების შედეგად ჩაის კომბინატს 1990 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ერიცხება დებიტორული დავალიანება 4 ათასი მანეთის ოდენობით, რაც გამოწვეულია იმპორტული ნედლეულის დატაცებით. აქ სათანადო ყურადღება არ ექცევა რკინიგზის ვაგონების დროულად დაცლის საკითხს, რის შედეგადაც ჩაის კომბინატს მიმდინარე წლის ოთხ თვეში გადახდილი აქვს 898 მანეთი ჯარიმა.

სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ პურპროდუქტების კომბინატში (დირექტორი ვ. გულორდავა) გამოშვებული პროდუქციის დაზუსტება ოპერატიული მონაცემების გარდა თვეების მიხედვით არ ხდება (მთ. ბუღალტერი ლ. ქირია, საგეგმო განყოფილების უფროსი ვ. გოგოხია) და შედეგი გამოჰყავთ კვარტალის მიხედვით.

პურპროდუქტების კომბინატში ვერ სრულდება ფასიანი მომსახურების გეგმა, რაც საწარმოს დამატებითი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია ზემდგომიდან დაშვებული გეგმის ადგილზე თვითნებური კორექტირებით სამინისტროს ნებართვის გარეშე.

აღნიშნული კომბინატის ხელმძღვანელები სათანადოდ არ ინტერესდებიან სატვირთო ვაგონების მოცდენების ფაქტების აღმოსაკვეთად, რის შედეგადაც მიმდინარე წლის 4 თვეში კომბინატს ჯარიმის სახით გადახდილი აქვს 295 მანეთი.

ჩაის კომბინატ „ოდიშსა“ და პურპროდუქტების კომბინატში ზემოთაღნიშნული დარღვევების არსებობა განპირობებულია იმით, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები სათანადოდ დაინტერესებას არ იჩენენ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. არა აქვთ დაწესებული საჭირო კონტროლი დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობაზე, უფრო მეტიც, ურიგდებიან მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

სახალხო კონტროლის სხდომაზე დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სააღრიცხვო საქმიანობის არასწორად წარმართვისა და სატვირთო ვაგონების მოცდენების ფაქტების აღსაკვეთად სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობისათვის, ჩაის კომბინატ „ოდიშის“ დირექტორს მ. დარასელიას და პურპროდუქტების კომბინატის დირექტორ გულორდავას მიეცა შენიშვნა, ასთანავე გააფრთხილა ისინი, მდგომარეობის გამოუსწორებ ობის შემთხვევაში მათ მიმა მიღებული იქნება მკაცრი ზომ

დაქვემდებარებული სამსახუ ბის საქმიანობაზე სუსტი კონტ ლის დაწესებისა და მომთხოვ ლობის შესუსტების, უხარისხო არასტანდარტული პროდუქ გამოშვებისა და მომხმარებლ მიწოდების, სატვირთო ვაგონ ის დროულად დაცლის საკით მოუგვარებლობისათვის ჩაის კ ბინატ „ოდიშის“ მთ. ტექნოლ ნ. მელიას გამოეცხადა საყვედუ მასვე სახელმწიფოსათვის მიყე ული ზარალის ნაწილობრივ და რვის მიზნით გაუკეთდა ფულ დარიცხვა ერთი თვის თანამდე ბრივი განაკვეთის 230 მანეთის ო ენობით. საყვედური გამოეცხა აგრეთვე ჩაის კომბინატის წარმ ების უფროსს რ. ნიქაბაძეს. მა გაუკეთდა ფულადი დარიცხვა მანეთის ოდენობით.

მინდობილი საქმისადმი გუ რილი დამოკიდებულებისათვის ჩ კომბინატ „ოდიშის“ ლაბორატ რიის გამგეს ნ. სიჯინავას, ამ კომბინატის მთავარ ბუღალტ ქ. ჩილაჩავას და პურპროდუქ ბის კომბინატის მთავარ ბუღა ერს ლ. ქირიას, საგეგმო განყოფ ლების უფროსს ვ. გოგოხიას მ ცათ შენიშვნა.

ჩაის კომბინატ „ოდიშის“ ტ ნიკური კონტროლის განყოფი ბის უფროსის ე. ქირიას პასუხ გებლობის საკითხის განხილვა დაიდო მისი მივლინებიდან დაბრ ნების შემდეგ.

# სახელშეკრულებო და შრომის დისციპლინის დარღვევა არავის ეპატიება

ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში გარკვეული სახის ღონისძიებები ტარდება სახელშეკრულებო დისციპლინისა და სტატისტიკური ანგარიშების უტყუარობის დაცვისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა მათი საქმიანობა ჯერ კიდევ ხასიათდება ზოგიერთი სახის ნაკლოვანებებითა და ხარვეზებით.

სამკერვალო ფაბრიკასა (დირექტორი ლ. ქარჩავა) და ჩაის ექსპერიმენტალურ კომბინატში (დირექტორი ნ. გულუა) ადგილი აქვს სახელშეკრულებო და შრომის დისციპლინის დარღვევებს, სტატისტიკურ ანგარიშგებაში არასწორი მონაცემების შეტანის ფაქტებს.

სამკერვალო ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობის მხრიდან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და კონტროლის მოდუნების შედეგად რეგულარულად არ ტარდება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პირველადი დოკუმენტების შედგენას გარდამავალი ოპერაციების მიხედვით. ქარხანა 1990 წლის პირველი იანვრიდან უშვებს მხოლოდ ერთი დასახელების პროდუქციას — სამუშაო ხელთათმანებს სათანადო ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქ. მოსკოვის სააქციონერო ფირმას ქარხანამ გადაუტვირთა 110 ათასი მანეთის ღირებულების 34200 წყვილი ხელთათმანი, რომლის ღირებულება დღესაც არა აქვს მიღებული. რამაც . საგრძნობლად გაზარდა დებიტორული დავალიანება. მიმდინარე წლის 31 მარტს ფაბრიკის მიერ გადაგზავნილ პროდუქციაზე საგადასახადო მოთხოვნა დაგვიანებით 20 აპრილს იქნა წარდგენილი, რის შემდეგ დამკვეთის მიერ საგადასახადო მოთხოვნა დაბრუნებულ იქნა გაუნაღდებლად, ხოლო განაღდებაზე უარის თქმის მიზეზის დადგენისათვის ფაბრიკას არავითარი ზომები არ მიუღია.

ნედლეულისა და მასალების მწვავე დეფიციტის პირობებში სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ზემდგომ ორგანოებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე სხვადასხვა ორგანიზაციებს გადასცა 142 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ქსოვილი. მათ შორის კოოპერატივ „თათიას“ 53 ათასი მანეთის ღირებულებისა.

ფაბრიკაში შრომის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებისადმი ხელმძღვანელთა დაუინტერესებლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აქ არ გააჩნიათ მომარაგება-გასაღების განყოფილება. არავინ ზრუნავს ფაბრიკის კომერციული საქმიანობის გაუმჯობესებაზე, თუმცა ფაბრიკაში დასაქმებულია 125-მდე კაცი, რომელთაც გეგმით ყოველწლიურად 1,700 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია უნდა გამოუშვან.

მიწოდების ხელშეკრულების დაცვის უტყუარობის სისწორეს ეჭვის ქვეშ აყენებს ფაბრიკის ხელმძღვანელობისა და ტექნოლოგიური სამსახურის (მთ. ტექნოლოგი მ. ქუხილავა) საქმიანობა. ფაბრიკას გააჩნია ხელშეკრულების შესაბამისად გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით ადგილზე დამზადებულ იქნა ეტალონური ნიმუში, მაგრამ იგი დღემდე არ არის ვიზირებული დამკვეთთან. ამან კი შეიძლება საწარმოოს შეუქმნას უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა. ჩაის ექსპერიმენტალური კომბინატის (დირექტორი ნ. გულუა, წარმოების უფროსი ა. დარასელია, მთ. ბუღალტერი რ. ქანთარია, მთ. ეკონომისტი ა. ოყუჯავა) სამეურნეო ხელმძღვანელობის მხრიდან დაქვემდებარებული სამსახურების მომთხოვნელობის მოდუნების შედეგად სათანადო ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო გეგმის შესრულებას, ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით. შესაბამისად ამისა ირღვევა მიწოდების ხელშეკრულებები.

მიუხედავად იმისა, რომ კომბინატი გადაჭარბებით ასრულებს საერთოდ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას, იგი ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებას ასორტიმენტის მიხედვით. 1989 წელს 105 ტონის ნაცვლად გამოშვებულ იქნა 78,4 ტონა ექსტრა ჩაი, რაც გეგმის 77,0 პროცენტს შეადგენს. ასევე პირველი ხარისხის ჩაი ნაცვლად 640 ტონისა, გამოშვებულ იქნა 543,6 ტონა და სხვ. სულ ჩაის ექსპერიმენტალურმა კომბინატმა 1989 წელს 10 დაგეგმილი სახეობიდან გეგმა შეასრულა მხოლოდ სამ სახეობაში. ანალოგიური მდგომარეობაა მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. დაგეგმილი 10 სახეობიდან გეგმა შესრულდა მხოლოდ ორ სახეობაში. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია სათანადო ეთიკეტების მანქანა-დანადგარების არარითმული მუშაობისა და წნეხყალიბების ფორმის უქონლობის გამო.

ჩაის ექსპერიმენტალურ კომბინატში სათანადო ყურადღება არ ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, მის დაფასოებას, ზომა-წონის დაცვას ნორმატივების მიხედვით. 1989 წელს გამოშვებული მწვანე აგურა ჩაიდან უხარ ხობის მოტივით დაბრუნებულ ნა 668,5 კგ.

კომბინატში პროდუქციის ასოებაზე, ზომა-წონის დაცვისა გადატვირთვის უზრუნველსაყო ად შექმნილი მუდმივმოქმედი მისიის არასაკმარის მუშაობ მიუთითებს ის ფაქტი, რომ უ ასკნელ პერიოდში ხშირია პრეტ ზიები გაგზავნილი პროდუქ ნაკლებობაზე. 1989 წელს ჩ კომბინატმა ქ. ტულის ჩაის ბაზ დააკლო 92,6 კილოგრამი, ხოლო ბიისკის ბაზას 280 კილოგრა აღნიშნულთან დაკავშირებით კ მბინატში ჩატარებულ იქნა ინვ ტარიზაცია და გამოვლენილ ჩაის მეტობა 1837,6 კილოგრ თანხით 1778 მანეთის ოდენობ ხოლო მეორეჯერ 3828,4 კილოგ ამი თანხით 24201 მანეთი. კო ინატში სათანადო ყურადღება ეთმობა სტატისტიკური ანგარ გების უტყუარობის საკითხებ

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვ ბები შედეგია იმისა, რომ სამკ ვალო ფაბრიკისა და ჩაის ექსპე იმენტალური კომბინატის სამეურ ხელმძღვანელები ურიგდებიან ნ ლოვანებებს და სათანადო დაინ ერესებას არ იჩენენ მუშაობ არსებული ხარვეზების გამოსას ორებლად.

ა. ჩახა

კონტროლის საქალაქო კომიტ ტის შტატგარეშე მრეწველობ განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გამოხმაურება წერილზე „ვუშველოთ სოფლის მომავალს“

# მე ასე ვფიქრობ

საწერი ხელში ამაღებინა მ. ქანთარიას წერილმა „ვუშველოთ სოფლის მომავალს“ („ოდიში“ 28 VII 90 წ. №90). სტატიაში საკითხი სწორად და საქმიანად არის დაყენებული. ყველა ერის კაცი სოფლის სატკივარით უნდა იწყებდეს ლაპარაკს. სოფელი ითხოვს ახალგაზრდულ ენერგიას. არადა, ახალგაზრდები სოფლიდან გარბიან, ვიძახით და დიაგნოზი და მას მორგებული წამალი კი არ ჩანს. მავანს და მავანს ჰგონია, რომ მიგრაციის პროცესის შეჩერება კოლმეურნეობის გამგეობის და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა ნება-სურვილზე და მუშაობაზეა დამოკიდებული. ეს არ არის სწორი. მას სულ სხვა ფესვები აქვს და მისი ღრმა შესწავლა და ანალიზი მეცნიერულად არის გასააზრებელი.

ბავშვობის წლებიდან სოფელში მიხდება ცხოვრება და შრომა და სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაციის მიზეზთა მიკვლევაში ჩემი აზრიც შეიძლება ვინმე დაინტერესებულ პირს გამოადგეს. არაერთხელ მითქვამს რაიონული მასშტაბის ტრიბუნიდან, თუ საუბრებში და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალგაზრდობას სოფელში ვერ გავაჩერებთ მარტო კარგი კლუბით და კარგი სპორტული მოედნით, ვერც აბანოთი და ამბულატორიით, ეს ერთი მხარეა საქმის. ახალგაზრდობას და განსაკუთრებით თანამედროვეს სჭირდება სხვა სამყარო, ცხოვრებით ხაკარხახევი გარემო. სოფელში ახალგაზრდობა რომ გაჩერდეს მას ორი დღე მაინც უნდა ჰქონდეს (ისე როგორც ქალაქელს) თავისუფალი. ამას მოკლებულია ჩვენი მოუწესრიგებელი შრომის სისტემის გამო. ეს რომ ჰქონდეს, მან უნდა იგრძნოს თავი თავისი საქმის ბატონ-პატრონად, რომ თავისივე შრომა-დასვენება ნორმალურად მოაწესრიგოს. დროა კი, (დაგვიანებული თუ არაა) დაფასდეს სოფლის მშრომელის ღვაწლი და მარჯვენა. უნდა შეიცვალოს გლეხის მიმართ ქალაქელი ფილისტერის ცინიკური დამოკიდებულება. იმ ქალაქელმა, რომელიც განგაშს ტეხს საკვები პროდუქტის სინაკლეებზე, ერთხელ მაინც სინჯოს მიწასთან მიდგომის გემო, ერთი დღით მაინც ნახოს როგორი ოფლით მოიპოვება სიმინდის მარცვალი, ჩაი და ციტრუსი, ენერგიის როგორი წვით იქმნება რძე და ხორცი, ტყუილად კი არ ეძახის ქართველი ხალხი სოფლის მონაგარს „ჭირნახულს“, მაშინ დააფასებენ სოფელსა და სოფლელი მშრომელის შრომას. სამწუხაროდ, ნაოფლარის დაფასების კულტურა გვაკლია, ყველანი ვიყიხჩებით, ანდა საიდან მოდის ეს ამპარტავნობა, ყველას რომ პატრონის როლში გვინდა ვიყოთ, სოფლის მუშაკი არავის გვახსოვს.

ცხოვრება გვიკარნახებს ბევრ რამეს: სოფლელმა კაცმა, (მე განგებ არ მინდა სიტყვა „გლეხი“ ხშირად ვიხმარო. ეს ტერმინი სოფლელი კაცის დამცირების ასოციაციას იწვევს) კულტურულ მწარმოებლად რომ იგრძნოს თავი და კულტურულ-სულიერი მოთხოვნები რომ დაიკმაყოფილოს, ამისათვის მას ხელშეწყობაც უნდა. პირველ რიგში უნდა განვითარდეს მცირე მექანიზაცია: საბოსტნე ნაკვეთების, ციტრუსის ბაღების, სავენახე ადგილების დამუშავებისათვის, ბაღ-ბოსტნის შეწამვლა-მოვლისათვის. ეს ტექნიკა უნდა იყოს მორგებული რელიეფს, შრომა უნდა შეამსუბუქოს და ხელით ერთი კვირის გასაკეთებელის მოგვარებას მუშაკაცი ორ დღეში მაინც უნდა მორჩეს. ამაზე დღემდე არავის უფიქრია ჩვენი უთავბოლობისა, უსისტემობისა ამო. შეიძლება ვინმე შემედავოს, რომ არის ასეთი ტექნიკა, (მაგალითად ჩაის კულტურაში. ასევე მიწის დასამუშავებლად). გეთანხმებით, მაგრამ ნახეთ მისი ხარისხი, ხელმისაწვდომობა, ფასი ჯოჯოხეთური. ასე საქმე არ წავა. როგორ გინდა სოფელში ახალგაზრდა გააჩერო თოხის ამარა. თუ სოფელში ასე კარგია, (როგორც ზოგიერთთა ლოზუნგებიდან ჩანს?) რატომ არც ერთი ქალაქელი ინტელიგენტის შვილი არ წამოვიდა სოფელში და არ მოკიდა თოხს ხელი. ლოზუნგებით საქმე არ გამოვა. ლოზუნგმა ხომ ქვეყანა დაღუპა.

სოფელში ახალგაზრდობის დამაგრებას პირველ ხანებში ისიც შეუწყობს ხელს, თუ წვრილი საწარმოების ქსელს განვავითარებთ. ამას ნებართვა და გამართვაში ხელშეწყობა უნდა, ენთუზიასტი და მსურველი ახალგაზრდა ბევრი გამოჩნდება: სამწუხაროდ ბიუროკრატიული მანქანა ჯერ კიდევ მოქმედებს და ადამიანებს შესაძლებლობების გამოვლინების საშუალებას უსპობს. წვრილ საწარმოთა ქსელი კი ნელა ვითარდება. როცა ეს გვექნება, სოფელს მშრომელი კაცი გულსაც დაუდებს და არ მიატოვებს მამაპაპისეულ კურთხეულ მიწას. დანარჩენი საკითხები (გზა, კომუნალური მოთხოვნები...) თანდათან მოგვარდება და არავინ არ იბრუნებს პირს ქალაქისაკენ და ამით საქართველოსაც ეშველება.

ჯ. ქიქალეიშვილი,
ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

## ჩაი —90

### მატულობს ტემპი

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მშრომელთა ვალდებულება 3750 ტონა ჩაის ნედლეულის დამზადებას ითვალისწინებს.

14 აგვისტოსათვის მეურნეობამ მიიღო 2680 ტონა ნედლეული.

პირველობენ კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები, რომელთაც გ. მეუნარგია, გ. გოგოძე, ღ. ფაცაცია, ნ. გვაჯაია ხელმძღვანელობენ.

კომბინატში ყოველდღიურად იკრიფება 30-40 ტონა ჩაის ფოთოლი.

მატულობს ტემპი.

ა. თოდუა.

## ხილის დამზადება გრძელდება

ხილის დამზადებისა და გადამუშავების დღეები უდგას მეკონსერვეებს. საწარმომ (დირექტორი მ. სოსელია) 8 აგვისტოსათვის მიიღო და გადაამუშავა 672 ტონა კენკროვანი ხილი. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში სარეალიზაციოდ გაიგზავნა 1 მილიონ 100 ათასი პირობითი ქილა წვენი, ჯემი, მურაბა და სხვა ნაწარმი.

ხილის დამზადება წარმატებით გრძელდება. მეკონსერვეები სეზონის დამთავრებამდე გეგმიური 700 ტონის მაგიერ 750 ტონა ხილის დამზადებას ითვალისწინებენ.

## ქალაქის განვითარების ახალი გენერალური გეგმის პროექტი

# ანუ იყო თუ არა ასეთი სახით ახალი გენგეგმის შედგენა საჭირო?

(დასასრული)

გენგეგმის ავტორები კი მივიდნენ ასეთ შედეგამდე: ქალაქის მოსახლეობა 1995 წელს 53 ათასი იქნება, ხოლო 2010 წელს —60 ათასი კაცი. ძველი გენგეგმით მოსახლეობა 70 ათასი კაცით იყო განსაზღვრული და ისიც 2000 წლისათვის. დავუკვირდეთ ამ ციფრებს და მათში მრავალ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ. გენგეგმის ავტორთა პროგნოზის მიხედვით 1990-1995 წლებში (6 წლის მანძილზე) ქალაქის მოსახლეობა გაიზრდება 4,5 ათასი კაცით (1990 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ქალაქის მოსახლეობა 48,5 ათას კაცს შეადგენდა). ეს არარეალურია. გავიხსენოთ 1979-1989 წლებში ე. ი. ათი წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობა 4,4 ათასი კაცით გაიზარდა. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ალბათ. გენგეგმა აქტიური დემოგრაფიული ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებსო. არა მკითხველო, გენგეგმის ავტორები მანქანათმშენებელ ქარხნებში („პროგრესი“, „ვექტორი“) კადრების გარედან შემოყვანას და ქალაქში დასახლებას ითვალისწინებდნენ, მაგრამ რეალური სიტუაცია ისეთია, რომ ეს არ მომხდარა და, როგორც ჩანს, არც მოხდება. არ მოხდება თუნდაც იმიტომ, რომ ქალაქში დღეისათვის დაუსაქმებელი შრომითი რესურსების რაოდენობა 4300 კაცს აღემატება. მიგვაჩნია, რომ გენგეგმის ავტორებს აუცილებლად მართებდათ შრომითი რესურსების ამ კატეგორიის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, პროფესიულ-კვალიფიკაციური დონისა და დასაქმების პრობლემების შესწავლა და გენგეგმაში ასახვა, ამრიგად რადგან თვით მიდგომას გაანგარიშებისადმი რეალური საფუძველი გამოეცალა, შედეგიც არარეალური იქნება. დღევანდელ სიტუაციაში კი აქცენტი ალბათ უნდა გაკეთდეს სწორედ აქტიურ დემოგრაფიულ ღონისძიებებზე. გენგეგმის ავტორები 1990-1995 წლებში წელიწადში მოსახლეობის მატებას საშუალოდ 750 კაცით განსაზღვრავენ, ხოლო 1996-2010 წლებში—465 კაცით (იმიტომ, რომ პირველ პერიოდში კადრების შემოყვანა მეტია ნაგულისხმევი). მიგვაჩნია, რომ პირველი მაჩვენებელი დაუსაბუთებლად მაღალია, მეორე—კი დაბალი.

გენგეგმაში მოსახლეობის საპროექტო რიცხოვნობის დადგენის შემდეგ მოცემულია სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის პარამეტრები. შევნიშნავთ, რომ რამდენადაც ავტორები აქ ეყრდნობიან მოსახლეობის საეჭვო საპროექტო რიცხოვნობას, ეს პარამეტრებიც ვერ იქნებოდა რეალური და სასურველი სიტუაციის ამსახველი.

პირველ რიგში ავტორებს ვერ დავეთანხმებით საბინაო ფონდის განსაზღვრაში. ჯერ ერთი, საბინაო ფონდი ნაანგარიშევია მხოლოდ მოსახლეობის ნამატზე და ნგრევაში გათვალისწინებულ მოსახლეობაზე. რატომ არ ვითვალისწინებთ იმ 1400 ოჯახს, დაახლოებით 5600 კაცით, რომელიც ამჟამად ბინის მიღების რიგში დგანან. მეორე, პირველი რიგისათვის საცხოვრებელი ფართის ნორმად აღებულია 15 კვ. მეტრი, მეორე რიგისათვის 18. გაურკვეველია რას ვუშვებით იმათ, ვინც მიიღო 15 კვ. მეტრი ფართი. მას შემდეგ, რაც 1996 წელს დავიწყებთ 18 კვ. მეტრი ფართობის გაცემას მოსახლეობის ერთ სულზე.

ჩვენის აზრით, კულტსაყოფაცხოვრებო ქსელის განვითარებაში უპირველესი შეცდომა ის არის, რომ ამოსავლად აღებულია ფაქტიურად არარსებული ბაზა და სწორედ აქედან ედება საფუძველი იმ არასწორ გაანგარიშებებს, რაც ტექსტშია მოცემული. საბავშვო ბაგა-ბაღებში ამჟამად ადგილების რაოდენობა აღებულია 2765. ნორმით უნდა იყოს 3080. მექანიკურად მათ შორის სხვაობა რაც არის, თითქოსდა უნდა აშენდეს. სინამდვილეში ქალაქში არის 30 ბაგა-ბაღი, მათ შორის მხოლოდ 10 ბაღია ტიპიურ შენობაში. ანუ ფაქტიურად სალად შეიძლება ჩაითვალოს 1310 ადგილი. დანარჩენი ან შეგუებულ შენობაშია ან კერძო დაქირავებულ ბინებში. შეიძლება გენგეგმაში მაინც იმის დაშვება, რომ 2010 წელს ბაღი იყოს ბარაკებში? არავის შეუსწავლია რეალურად რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვქონდა და აი შედეგიც. ეს ეხება სკოლებს, აფთიაქებს, მაღაზიებს, სასადილოებს, კულტურის დაწესებულებებს, ნაწილობრივ ჯანდაცვას და ა. შ. ძალიან დიდი „ოპტიმისტი“ უნდა იყო კაცი დაიჯერო, რომ 2010 წლისათვის ქალაქის კინო-თეატრების დღევანდელი შენობები კიდევ იქნებიან და მოემსახურებიან მოსახლეობას ან კიდევ ისინი დააკმაყოფილებენ იმ დროის მოთხოვნებს. არაფერს ვამბობთ თეატრზე, კულტურის სახლზე და ა. შ.

ამდენად, ახალი გენერალური გეგმის პროექტში ჩადებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მისი შედარება 1977 წელს დამუშავებულ გენგეგმასთან გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ასეთი სახით ძველის გადამუშავება არ იყო საჭირო. უფრო მეტიც, თუ კი ქალაქის განვითარების პარამეტრები შემცირდებოდა მისი 2000 წლამდე შეუსრულებლობის მოტივით, მაშინ უბრალოდ ვადის გაგრძელება იქნებოდა საჭირო და ცალკეული კორექტირების შეტანა გენგეგმაში და არა ახალი გენერალური გეგმის დამუშავება.

ჩვენს მიზანს სულაც არ შეადგენს გენგეგმის გაქარწყლება. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ გენგეგმის ავტორებს გაწეული აქვთ დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა და მასში მრავლადაა დადებითი მომენტები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ გენგეგმა მოითხოვს ხელახალ გადასინჯვას, რეალური ტენდენციების გათვალისწინებას. უამისოდ იგი თავის როლს ვერ შეასრულებს ქალაქის ცხოვრებასა და განვითარებაში.

გენგეგმის ავტორების ყურადღება გვინდა კიდევ რამდენიმე მომენტსაც მივაქციოთ. ჯერ—ერთი, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო, ნათქვამია და უკეთესი იქნება საკუთარი თვალით ვნახოთ, შევისწავლოთ ქალაქი, როცა მისი განვითარების გეგმას ვადგენთ. მეორე, ქალაქისათვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტის შემუშავებისას, როგორიც მისი განვითარების გენგეგმაა, თუ გვინდა იგი რეალური იყოს, ყურადღებით უნდა შევისწავლოთ ქალაქზე არსებული ყველა მასალა და, რაც მთავარია, უნდა შევისწავლოთ პირველ რიგში ქალაქის მკვიდრი სპეციალისტების მოსაზრებანი და ჩავრთოთ ისინი მუშაობაში. მესამე, დღეს ფაქტიურად წარმოუდგენელია ქალაქის ამგვარი სასიცოცხლო დოკუმენტის შექმნა მოსახლეობასთან მოთათბირების გარეშე. თუ გვინდა, რომ მისმა განხორციელებამ შექმნას ქალაქის ჰარმონიული არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სტრუქტურა და რადიკალურად გააუმჯობესოს მისი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. და ბოლოს, მეოთხე, იქნებ ვინმემ თქვას ჩვენ ასეთი დავალება გვქონდა და ის შევასრულეთო, მაგრამ სპეციალისტმა, თუ კი ხედავს, რომ დავალება აშკარად არარეალურია, მასში უნდა შეიტანოს სათანადო კორექტივები. ესეც არის არა, თუ გენერალური გეგმის, არამედ ნებისმიერი დამუშავების ძირითადი მიზანი.

რ. ცაავა,
ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

ვ. ფიფია,
სმედმ-ის ზუგდიდის განყოფილების სექტორის გამგე.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ოდიში“ №97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წამალთან ერთად — იმედის შუქი

ჯანმრთელი და თავისი სიჯანსაღით ბედნიერი ადამიანები იშვიათად თუ შეივლიან აფთიაქში, ავადმყოფობით შეპყრობილს კი კარგად ესმის, რას ნიშნავს გაფორმებული რეცეპტის პასუხად თეჯირს იქით ნათქვამი: „არა გვაქვს", ისევ პროვიზორის გულისხმიერების ფასიც.

თეჯირს მიღმა დარბაზში, სადაც უცხოთა შესვლა სასტიკად აკრძალულია, მაგიდასთან კოლბებსა და სააფთიაქო სასწორებს შორის თავჩარგული შრომობენ თეთრხალათიანი მანდილოსნები, მისხალ-მისხალ წონიან, ურევენ ერთმანეთს და ასე ამზადებენ წამალს, მერე რეცეპტორ-კონტროლიორი ერთხელ კიდევ ამოწმებს წამლის შემადგენლობას და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მას „ვიზა" შემკვეთისაკენ.

წლების მანძილზე ემსახურება საყვარელ საქმეს ნუნუ ჩახაია, ამ კეთილშობილურ პროფესიასთან შერწყმულია მისი პიროვნული თვისებებიც — გულისხმიერება და პასუხისმგებლობის გრძნობა. ვინ იცის, რამდენჯერ შუაღამისას გაუღვიძებიათ, როცა ვინმეს უკიდურესად გასჭირვებია, ამ დროსაც მუდამ მზად აქვს კეთილი სიტყვები და ღიმილი, საყვედური როგორ დასცდება, შემკვეთს კი წამალთან ერთად იმედის შუქი მიაქვს ავადმყოფთან.

ონარიის მეურნეობის აფთიაქში, რომლის გამგეც ამჟამად ნუნუ ჩახაიაა, თანამშრომლებს შორის ურთიერთპატივისცემა და მეგობრული დამოკიდებულება იგრძნობა.

— აქ ჩემი დამსახურება ძალზე მცირეა — ამბობს ნუნუ, მე მხოლოდ გავაგრძელე ის ტრადიცია, რასაც აფთიაქის ყოფილმა გამგემ არტემ ჩახაიამ ჩაუყარა საფუძველი, თან თვალი იმ კუთხისკენ გაურბის, სადაც ჩარჩოში ჩასმულ სურათთან მუდამ ცოცხალი ყვავილები აწყვია.

ათი წელია მოვალეობის გრძნობითა და გულის კარნახით მუშაობს, პატარებიც ჰყავდა, მაგრამ სამსახურში არასოდეს დაუგვიანია, მუდამ ებრალებოდა მომლოდინე ავადმყოფი თუ ავადმყოფის პატრონი, რომელსაც წუთებიც ძვირად ულირდა.

საყვარელი სამუშაო, გულითადობის ატმოსფერო ოჯახში და სამსახურში... რა შეიძლება ინატროს ადამიანმა ამაზე მეტი...

ჯერ სიბერე შორს არის, მაგრამ ქალბატონი ნუნუ წინასწარ ჰვრეტს იმ დროს, როცა სამსახურისგან მოიცლის და მშობლიურ ჭითაწყარში მებაღეობას შეუდგება, კარგი მეწამლე მცენარეებსაც კარგად მოუვლის, შედეგითაც გაიხარებს, ტყუილად არ ამბობს, რაც ასაკი მემატება ბუნებასთან სიახლოვე მიზიდავსო. მანამდე კი გვჯერა, ბევრ ავადმყოფს განკურნავს მისი ტკბილი სიტყვა და საქმის ცოდნით მომზადებული წამალი.

სიამაზ როგავა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაბასთუმნის ტერიტორიაზე არსებული ავტოტექმომსახურების სადგური „ფიატი" აწარმოებს წარმოება-დაწესებულებათა და კერძო პირთა მსუბუქი ავტომანქანების კაპიტალურ შეკეთებას, სხვა სახის სპეციფიკურ სამუშაოებს. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება იწარმოებს როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო (გადარიცხვით) ანგარიშსწორებით.

„ფიატის" დირექცია.

ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლთან შექმნილია ქრაკერვის, მდივან-მემანქანეთა, ქსოვის, ქარგვის, ფოტომოყვარულთა, კოსმეტიკის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ინგლისურის შემსწავლელი წრეები.

მსურველთა განცხადებების მიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა. მისამართი: ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლი, რუსთაველის ქ. №103, ტელეფონი: 2—18—97, 2—36—49.

განათლების მუშაკთა სახლის გამგეობა.

მეუღლე გერონტი დარასელია, შვილები: ლევანი, ნინო. ჯათუნა. დედა ფუფა. მამა ალიოშა, დედამთილი თამარა, დები: მიმოზა, მარინა, მანანა. ძმები: ანზორი. კოსტია. ელდარი ფიფიები. რძლები: ნონა, ნანა, მულები: ლუბა. ტამინა. ნანული, მზია. მედიკო. სიძეები: ბორისი, ნუგზარი. ფრონდიკო, ინდიკო, ნოდარი, მამიდა თამარა, ბიძია გრიშა. ბიცოლა დინარა, მამიდაშვილები: ნანიკო, ლიანა, დეიდაშვილები: ციალა, მურმანი. ზაირა. ლიანა. მარინა. ნაილი; გურამ, ტანია. ლეილა, ბიძაშვილები: ტუტუ, ნანული, დოდო. რამინი. ია. დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**თინა ალიოშას ასულ ფიფია-დარასელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 აგვისტოს, დაკრძალვა 21 აგვისტოს ჩხორიაში.

მეუღლე გოჩა. შვილი ეკა, დედა ლიანა, მამა ბადრი, და ელისო, დედამთილი ნაზო. მამამთილი ერასტო, მულები: სვეტა, ნონა, ნანი. ნინო ყუფუნიები, მაზლი მერაბი, რძალი ქანა ცარციძე, სიძეები: მეთოდი ნავეიშვილი, სოსო ლიპარტია, ბაბუები პლატონი ბარქაია; არტემი ჩხაპელია, ბებია მარგო, ბიძები: ბიჭი გაბუნია, პეტრე ქარჩავა, გუგუ შენაბდე, სლავიკი, შურიკი ბარქაიები, გვაცა. მიშა ყუფუნიები. ბიცოლა სვეტა, მამიდები ხუტა წულაია, ცაქვა ხონელია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ეკა ბადრის ასულ გაბუნია-ყუფუნიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 აგვისტოს. გამოსვენება 19 აგვისტოს ქ. ზუგდიდი, სვანეთის ქ. 37. 3 საათზე, დაკრძალვა სოხუმში.

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1942 წლიდან, გადამდგარი მაიორი ფილიპე ქისარის ძე ქითანავა.

იგი დაიბადა 1912 წელს სოფ. ჭკადუაშში, 1931 წელს დაამთავრა ზუგდიდის აგრონომიული ტექნიკუმი: 1931-32 წლებში მუშაობდა ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში აგრონომად, იყო საძეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის აგრონომი. 1934 წელს საბჭოთა არმიის რიგებში იქნა გაწვეული. 1937 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ჯარების ფეხოსანთა სკოლა, ხოლო 1942 წელს კი ამთავრებს მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დაჩქარებულ კურსს.

1934 წლის ნოემბრიდან 1956 წლის მაისამდე საბჭოთა არმიის რიგებში განვლო გზა წითელარმიელად, კურსანტად, ოცეულის, ასეულის მეთაურად, მსროლელი ლეგიონის მეორე განყოფილების უფროსად, მსროლელი კორპუსის და დივიზიის სადაზვერვო განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

მეუღლე რეზო, შვილები მარინა. ნუგზარი, მესხიები. და ლუბა. ძმა სერგო, დისშვილი ტატიანა კონეჩნაია, ძმისშვილები ირმა, პავლე, მულები ნათელა, ლეილა, ლულიკო, ციალა, დარეჯანი, მაზლები თემური, თამაზი მესხიები, ჯემალი აბსანძე. რძლები ზაირა, ნონა, ოფელია. ბიძაშვილები: მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**რაია პავლეს ასულ ფიფია-მესხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 აგვისტოს. დაკრძალვა 18 აგვისტოს სოფ. ინგირში. გამოსვენება ვაჟა-ფშაველას ქ. 18-დან.

შვილები: რენო, ვარდო. თინა. მედეა. რძალი იზოლდა ახალაია. სიძეები კარლო კვარაცხელია. ზაური მალანია, ზურაბ ზარანდია, ცოცო გოგოხია, შვილიშვილები: ბათა, ილარიონ ჯალაღონიები, ლელა. ლია. ლევანი კვარაცხელიები. კახა. ეკა მალანიები. მაკა. ზაალი ზარანდიები. შვილთაშვილი ლიანა. ცოლისძმა ბთჩიტა სოსელია. ცოლისდა ცუცა. დისშვილები: ჯანიკო, ზაური. ჯუმბერი. გრიშა. გული გოგოხიები. ქვისლები: დათიკო ქობალია. აქსენტი კუკავა. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან.

**ილარიონ ივანეს ძე ჯალაღონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 აგვისტოს, დაკრძალვა 18 აგვისტოს სოფელ ოდიშში (სინწა).

ჭკადუაშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**საშა ივლონის ასულ ქითანავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მესამე საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

**კახა ვლადიმერის ძე ბერულავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინგირის მეორე საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**მერაბ გივის ძე თორიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ფ. ქ. ქითანავა



ფ. ქითანავა სხვადასხვა დროს იყო ყაზბეგისა და გეგეჭკორის რაიონების სამხედრო კომისარი, დიდი სამამულო ომის წლებში იბრძოდა დასავლეთის, კალინინის და უკრაინის მესამე ფრონტზე.

მის მიერ განვლილი საბრძოლო გზა მთავრობის მიერ დაფასებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორი, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და 16 მედლით.

თადარიგში გასვლის შემდეგ 1956 წლიდან ფ. ქითანავა მუშაობდა ქ. ზუგდიდის მეორე და მესამე საშუალო სკოლებში სამხედრო აღზრდის მასწავლებლად, ქ. ზუგდიდისა და სოხუმის რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბების უფროსად, ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად, ხოლო სიცოცხლის ბოლო დღემდე იყო ზუგდიდის სავაჭრო სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი.

სადაც კი უმუშავნია, ფ. ქითანავა ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი კვალიფიკაციით, გულისხმიერებითა და პატიოსნებით. წავიდა ჩვენგან უაღრესად პატიოსანი, ალალმართალი, ერთგული პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## ი. კ. ქირია

გარდაიცვალა შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, ვეტერანი მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი იპოლიტე კაპატის ძე ქირია.



იგი დაიბადა 1903 წელს ზუგდიდის ყოფილი მაზრის სოფელ დიდინეძში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ს. დიდინეძში, 1923 წელს დაამთავრა ზუგდიდის ჰუმანიტარული ტექნიკუმი და იმავე წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მან უმაღლესი განათლება მიიღო დაუსწრებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ ოქტომბრის, დარჩელის, დიდინეძის სკოლებში მათემატიკის მასწავლებლად. იყო დიდინეძის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი. 1937 წლიდან მუშაობას განაგრძობდა მასწავლებლად ქ. ზუგდიდის №3 საშუალო სკოლაში, აქედან დამსახურებულ პენსიაზე გავიდა 1984 წელს.

იპოლიტე ქირია იყო მაღალკვალიფიციური მათემატიკოსი, მაღალი ზნეობის მასწავლებელი, მომთხოვნი და პრინციპული, თანაც უაღრესად გულკეთილი. ის მშობლიურად ზრუნავდა მოსწავლეებზე, დიდი პატივისცემით სარგებლობდა №3 საშუალო სკოლასა და საერთოდ, ქ. ზუგდიდის პედაგოგიურ საზოგადოებაში.

გულისხმიერი პედაგოგისა და ნათელი პიროვნების ი. ქირიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობარ-ამხანაგებისა და მისი ნამოწაფარების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი

აკ. ჭანტურია.

მეუღლე იდელი, შვილი ზვიადი. დედა ეთერი. მამა გივი, და ნონა, სიძე ანტიფო ქითანავა, ბიძები ჯუმბერი თორია. ვალიკო. ხუტა ზარქუები, მიშა ხუბუა. ქორქი მანია, არონი არდია, სიდედრი ფენია, სიმამრი გენო კანკია, მამიდები: ცუცა, პაშიკო, დეიდები ლიდა. ცოცო. ბიცოლები: შურა, ნაზო, ციალა. ქვისლი ზვიადი ფაცურია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მერაბ გივის ძე თორიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 აგვისტოს, დაკრძალვა 21 აგვისტოს სოფ. ინგირში. გამოსვენება ბარათაშვილის 63.

მეუღლე მახარბეკი, შვილები: ზაური, რუსლანი, ანატოლი, ლუდმილა, სიძეები: ანდრო ჭარხალაშვილი, მიხეილ როსლერი. რძლები: ტატიანა, ნადია. ლუბა. ტატიანა, შვილიშვილები: ანდრეი, მარინა, ნატალია, არსენა, რომანი, კრისტინა, გენრი, მარია. ნატაშა. მულები: დობიკო, ახმანი. მუხტარი, რაია ოჯახებით იუწყებიან

**მარია ივანეს ასულ კუმალაგოვას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17. 18 აგვისტოს. დაკრძალვა 19 აგვისტოს 17 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 145.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის — 2-24 80 რედაქტორის მოადგილის — 2-35 69, პასუხისმგებელი მდივნის — 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 41 78 მშრომელთა წერილების — 2-25 12 რადიორედაქციის — 2 47-90

საქ. სსრ გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2 23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3704